საჯარო სამართლის იურიდიული პირი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

| | |
|---|---|
| პოლიტიკა | RE-QA. კვლევის განვითარების პოლიტიკა |
| დამტკიცებულია | აკადემიური საბჭოს/ წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ |
| დამტკიცების ოქმის ნომერი და თარიღი | |
| დოკუმენტის ცვლილების ოქმის ნომერი და თარიღი | - |
| ცვლილების მიზეზი | - |

1. **პოლიტიკის მიზანი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") კვლევის განვითარების პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტის ეგიდით აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ განხორცილებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით მოლოდინების და ჩარჩო მიდგომების განსაზღვრა, კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება.

2. **გავრცელების სფერო**

პოლიტიკა გამოიყენება უნივერსიტეტის შიგნით, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას. აგრეთვე სწავლა/სწავლების პროცესებში კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციისა და სამეცნიერო კადრების მომზადების პროცესების განხორციელებისას.

3. **კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი უნივერსიტეტის მართვის ორგანოები**

კვლევის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე და მისი განხორცილების შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

კვლევის განვითარების პოლიტიკის იმპლემენტაციას, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებს კოორდინირებას უწევს სათათბირო ორგანო - უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო.

კვლევის განვითარების პროცედურების განხორცილებაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხიმგებელია:

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
2. ფაკულტეტის დეკანატები;
3. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

4. **პოლიტიკის წინაპირობა**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც საქართველოს ყველაზე დიდი რეგიონული უნივერსიტეტი, აცნობიერებს რა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას, მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში, რისთვისაც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობ კვლევით საქმიანობას.

დეკლარირებული მიზნებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი მიმართულია განახორციელოს ინოვაციური ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, რომლებიც დაფუძნებულია ოთხმაგი სპირალის მოდელზე (Quadruple Helix model), სადაც სინერგია მიიღწევა ოთხი ძირითადი რგოლის ჩართულობით: 1. უნივერსიტეტი, 2. ინდუსტრია და ბიზნესი, 3. სახელმწიფო მმართველობა და საჯარო სექტორი, 4. სამოქალაქო საზოგადოება.




უნივერსიტეტის წესდების თანახმად, უნივერსიტეტის მიზანია „მეცნიერების განვითარება, მეცნიერული კვლევის პირობების შექმნა; ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება; პიროვნების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“ (სსიპ აწსუ-ს წესდება, მუხლი 3; პუნქტი 1, ა.ბ.)

ასევე უნივერსიტეტის ერთ-ერთი მიმართულებაა აწარმოოს რეგიონის განვითარების პოლიტიკისა და პროცესების ხელშემწყობი კვლევები. ამ მიმართულებით აწსუ ისწრაფვის ითანამშრომლოს რეგიონის, ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით ყველა რელევანტურ ორგანიზაციასთან, რაც უნივერსიტეტის საზოგადოებრივი მისიის განხორციელებას შეუწყობს ხელს; უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია ჰქონდეს პარტნიორობა ადგილობრივ მმართველობის ორგანოებთან და შეთავაზოს კვლევითი (მათ შორის გამოყენებითი ან უბრალოდ fact finding) პროექტები რეგიონის განვითარებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში; ასევე უნივერსიტეტი ცდილობს განავითაროს მის ბაზაზე აკადემიური და საზოგადოებრივი დისკუსიების პლატფორმა.

## 5. პოლიტიკის ძირითადი მიდგომები

უნივერსიტეტი მოწოდებულია წარმატებულად განახორციელოს კვლევითი საქმიანობა, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანი წარმართვა, რისთვისაც მზად არის კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში დანერგოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მიდგომები.

კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას აკადემიური თავისუფლება განიხილება, როგორც უნივერსიტეტის ვალდებულება, დანერგოს იმგვარი მიდგომები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის აკადემიური და სტუდენტური კონტინგენტის უფლებას თავისუფლად და სხვა პირების გავლენის გარეშე ეწეოდეს შემოქმედებით და კვლევით საქმიანობას.

კვლევითი საქმიანობა განიხილება, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

უნივერისტეტის მისიიდან გამომდინარე მიიჩნევა, რომ საერთაშორისო დონის კვლევითი საქმიანობის წარმართვისათვის, აგრეთვე ახალი ცოდნის შექმნასა და შედეგზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესში კვლევის კომპონენტის ეფექტიანი ჩართვისათვის აუცილებელია სხვა უნივერსიტეტთან, კვლევით, სახელმწიფო, არასახელმწიფო და კერძო სექტორის ფართო ჩართულობა და ურთიერთთანამშრომლობა.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია განიხილება როგორც ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლის, აგრეთვე ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების ეფექტიანი ინსტრუმენტი.

შესაბამისი მიდგომებისა და სამუშაო პროცესში მერიტოკრატიის დანერგვით უზრუნველყოფილი იქნება, რომ კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები თავიანთი საქმიანობის განხორცილებისას:

- იქნებიან ტოლერანტული სხვათა აზრების, რწმენისა და ღირებულებების მიმართ;
- უზრუნველყოფენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას, აგრეთვე ხელს უწყობენ პლაგიატის პრევენციას, გამოვლინებასა და მართვას;
- იქნებიან პატიოსანნი, სამართლიანნი და ანგარიშვალდებულნი, როგორც საკუთარ, ასევე სხვათა მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესში ჩართული პირების, მათ შორის სტუდენტების მიმართ;
- სამუშაოს განხორცილებისას უზრუნველყოფენ გუნდურ მუშაობას;
- გაუფრთხილდებიან და დაიცავენ გარემოსა და ბუნებას, აგრეთვე უნივერსიტეტის ქონებას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევით საქმიანობას,დაფინანსების მოძიების, ექსპერიმენტული დიზაინის შემუშავების, მონაცემების შეკრებისა და ანალიზის განხორციელების, აღჭურვილობისა და დანადგარების გამოყენების, შედეგების გამოქვეყნების სამეცნიერო ეთიკური ნორმების დაცვის კუთხით.

უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევის ხარისხი განსაზღვრავს სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის კავშირს, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართულობას, ახალგაზრდა თაობის შესაძლებლობების გაძლიერებას.

## 6. პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

კვლევის მიზნებისა და ძირითადი მიდგომების შესაბამისად უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკა მიმართულია:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების, მაღალი ტექნოლოგიების შექმნასა და თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევების განხორციელებაზე;
- სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესის ინტეგრირების უზრუნველყოფაზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფაზე;
- საგამომცემლო საქმიანობის, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოქვეყნების ხელშეწყობაზე;
- საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის ხელის შეწყობაზე;
- საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე.

## 7. კვლევითი საქმიანობის განხორციელების უზრუნველყოფა

უნივერსიტეტი, ფაკულტეტების კვლევითი პროფილების შესაბამისად, 3 წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს პრიორიტეტულ კვლევით მიმართულებებს.

პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი, ასევე, ცდილობს საერთაშორისო და საქართველოს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად კვლევითი ქსელების შექმნასა და/ან არსებულში ჩართვას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სტრატეგია გულისხმობს საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი უნივერსიტეტის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.

## 8. სამეცნიერო-კვლევითი საქმინობა

### 8.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის სახეები

სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის განმახორციელებელი ორგანიზაციული სტრუქტურები ახორცილებენ შემდეგი სახის სამეცნიერო-კვლევით საქმინობებს:

- **ფუნდამენტური კვლევები** - კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ან უფრო სრულყოფილი ცოდნის მიღებას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში. კვლევა ორიენტირებულია მოვლენების, ფაქტების, თეორიების, მოდელების, ახალი იდეებისა და კონცეფციების თეორიულსა და ექსპერიმენტულ შესწავლა - ანალიზზე. ფუნდამენტურ კვლევას არ მოეთხოვება უშუალო კომერციული სარგებლიანობა, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს სოციალურ-პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული ან/და ტექნიკური პროგრესის საფუძველს;
- **გამოყენებითი კვლევები** - კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნას. კვლევას შედეგად უნდა მოჰყვეს ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციის და ა.შ. შექმნა სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავება/სრულყოფა.
- **ოპერაციული კვლევები** - კვლევითი საქმიანობა, რომლებიც მიზნად ისახავს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებისათვის მხარდამჭერი ანალიტიკური საქმიანობის განხორციელებას. ოპერატიული კვლევები მიმართულია ოპერატიულად შეგროვებულ და სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით მართვის სისტემების გაუმჯობესებაზე. ოპერატიულ კვლევები უმეტესად გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ საკონსულტაციო და მარკეტინგული სერვისების განხორციელებისას.
- **შემოქმედებითი საქმიანობა** - საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ხელოვნების განვითარებას.

### 8.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამნახორციელებელი სუბიექტები

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციული სუბიექტებია:

- **ფაკულტეტზე მოქმედი დეპარტამენტები**
  ფაკულტეტებზე მოქმედ დეპარტამენტებში სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი სამუშაოები სრულდება ფაკულტეტის/დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.
- **ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული**
  ფაკულტეტების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების კვლევითი საქმიანობა რეგულირდება „ფაკულტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულების შესახებ“ უნივერსიტეტის დადგენილებით. სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ფინანსდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და აქვთ თავისი დებულებება.
- **ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფები**
- ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფებში კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი პროექტის განსახორცილებლად ერთიანდებიან უნივერსიტეტის ორი ან რამდენიმე ფაკულტეტის/დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ჯგუფის დაფინანსდება ხდება ჩართული ფაკულტეტების ბიუჯეტიდან.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მასთან აფილირებულ აკადემიური პერსონალის მიერ ინდივიდუალურ კვლევით საქმიანობას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე საერთაშორისო და ეროვნულ პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

უნივერსიტეტი მიესალმება მასთან აფილირებული, ასევე არაფილირებული სამეცნიერო კონტინგენტის მიერ ინდივიდუალურად ან/და კვლევითი ჯგუფის შემადგენლობაში უნივერსიტეტის გარეთ განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმები, რის მიხედვითაც გაიანგარიშება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური დატვირთვა.[1]

### 8.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ორგანიზაციული სტრუქტურები

უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განხორციელების ხელშეწყობაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხიმგებელია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- აკადემიური საბჭო;
- წარმომადგენლობითი საბჭო;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- სამეცნიერო ცენტრი;
- ფაკულტეტები;
- ბიბლიოთეკა;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო;
- უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

კვლევის ხელშემწყობი სტრუქტურული ერთეულების დახმარებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს:

- სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციური პროექტების განხორციელე-ბის მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობაში;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში;
- დაგეგმილი კვლევების ჩასატარებლად და კვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად სხვადასხვა წყაროდან დაფინანსების მოპოვებაში;
- სამართლებრივი საკითხების, დაფინანსების წყაროების მოძიების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხებში და უზრუნველყოფს ტრენინგე-ბის ჩატარებას;
- მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში;
- გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის პროცესში (ტექნიკური დახმარება).

უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრი აწარმოებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთი-ან საინფორმაციო ბაზას.

### 8.4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება

უნივერსიტეტში განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ეფუძნება ფაკულტეტების კვლევით პროფილებს და სტრატეგიული განვითარების გეგმებს.

---

[1] აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის #29(17/18) დადგენილება „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებითა და საათობრივად მოწვეული სპეციალისტების სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვების ნორმატივების განსაზღვრის, დამტკიცების, აღრიცხვისა და შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, ასევე ინდივიდუალურად. სამეცნიერო-კვლევით ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პროფესორი და მასში შეიძლება შედიოდეს ერთი ან რამდენიმე დოქტორანტი და მაგისტრანტი. ჯგუფის შემადგენლობა და სტრუქტურა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ დამოუკიდებლად და აისახება სამუშაო ჯგუფის დოკუმენტაციაში.

კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა ხორციელდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტებით.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განმახორციელებელმა სუბიექტმა უნდა შეიმუშაოს და განსახილველად წარადგინოს პროექტის დოკუმენტაცია. დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს და შეიცავდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიზნებს, კვლევის საგანს, მეთოდოლოგიას, ზღვრულ ვადებს, ბიუჯეტს და სხვა საკითხებს რაც უზრუნველყოფს მის მდგრადობას, ეფექტიანობას და აქტუალურობას.

აწსუ-ს აფილირებული პერსონალი ვალდებულია სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართულობის შესახებ ინფორმაცია წარადგინოს, მოითხოვოს მხარდაჭერა და მიიღოს დადასტურება შემდეგი სქემით:

- ფაკულტეტის საბჭო განიხილავს კვლევის სამეცნიერო აქტუალურობას, შესაბამისობას ფაკულტეტის და უნივერსიტეტის კვლევით პროფილისა და კვლევით პერსპექტიულ მიმართულებასთან, მოსალოდნელ შედეგებსა და სამიზნე ნიშნულებს და სხვა საკითებს, რაც უზრუნველყოფს პროექტის შედეგიანობას.
- ფაკულტეტის საბჭო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების პრიორიტეტულობას და მათი დაფინანსების საკითხებს განსაზღვრავს შემუშავებული კრიტერიუმების გამოყენებით (იხ დანართი 1): კვლევის ზეგავლენა, მდგრადობა, მნიშვნელობა, პოტენციალი. დადებითიად შეფასების შემთვევაში ფაკულტეტი აძლევს რეკომენდაციას პროექტის განხორციელებაზე.
- სამეცნიერო საბჭოს მიერ განიხილება სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მდგრადობის, ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი და შესაბამისობა უნივერსიტეტის სამეცნიერო პროფილისადმი. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სამეცნიერო საბჭო აძლევს რეკომენდაციას კვლევით პროექტის განხორციელებაზე.
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

### 8.5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება შემდეგი წყაროებიდან:

- უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან;
- ფაკულტეტის ხარჯვის ლიმიტიდან;
- სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან საგრანტო საპროექტო ფონდებიდან;
- არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებიდან;
- პერსონალის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამეცნიერო კვლევისათვის განკუთვნული უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორცილებაზე დადებული ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს და სხვა ქვეყნის კომპანიების მიერ.

ფაკულტეტი უფლებამოსილია ფაკულტეტის კვლევითი პროფილის გათვალისწინებით თავისი ბიუჯეტის ფარგლებში გამოაცხადოს შიდა სამეცნიერო საგრანტო კონკურსი და დააფინანსოს მისთვის პრიორიტეტული სამეცნიერო საქმინობა,

## 9. სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს უნივერსიტეტის ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში.

აკადემიურ პროგრამებში კვლევის ინტეგრირება უზრუნველყოფილია:

- სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტისა და სამაგისტრო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში;
- საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიან პროგრამებზე წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტით, ლაბორატორიული პრაქტიკუმებითა და პრაქტიკის კომპონენტით;
- სადოქტორო პროგრამების კომპონენტის - ასისტირების ფარგლებში დოქტორანტების სასწავლო პროცესში ჩართულობით;
- ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების კვლევებით, რომელსაც ყოველწლიურად წარადგენენ სტუდენტურ კონფერენციაზე;
- კვლევითი ერთეულის პროფესორებისა და მკვლევრების სასწავლო პროცესში ჩართულობით;
- თანამედროვე საერთაშორისო კვლევებისა და უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შედეგების ასახვით საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში და სასწავლო ლიტერატურაში.
- ფაკულტეტის საგრანტო კვლევით პროექტებში მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ჩართულობით.

აკადემიურ პროგრამებში კვლევის ინტეგრირების პროცესის დამატებითი რესურსებია:

- მაგისტრანტებისა და დოქტორანტების კურიკულუმისგარეშე აქტივობები (მათთვის გამიზნული ტრენინგები და სენინარები);
- სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამები;
- სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები;

უნივერსიტეტის კვლევითი ერთეულები მონაწილეობენ აკადემიური პროგრამების შემუშავების და განხორციელების პროცესში.

## 10. კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ, უწყვეტი შეფასების პროცესს და ეფუძნება PDCA ციკლის პრინციპს.

კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემით შესაძლენელია შეფასდეს როგორც კვლევითი საქმიანობის ხარისხი, ასევე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა. შეფასება ხდება პერიოდულად და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე. შეფასებისათვის გამოიყენება:

- ანგარიშგების გზით მიღებული ინფორმაცია (დანართი 2);
- პირველადი მონაცემების წყაროები: Web of Science / Book Citation Index; Scopus; Google Scholar; Clarivate Analytics;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მონაცემები და შესაბამისი ანგარიშები;
- კოლეგების, აგრეთვე დამოუკიდებელ მკვლევართა შეფასებები.

ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს აანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის ანგარიშებში, რომლებსაც აწვდის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისათვის გამოყენებული კრიტერიუმები და ინდიკატორები მოცემულია დანართი 3-ში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტებიდან მიღებული მონაცემებისა და პირველადი შეფასების, ასევე შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანგარიშს, რომელსაც უგზავნის

- რექტორს;
- უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;
- საჭიროების შემთხვევაში, ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს.

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კვლევითი საქმიანობის კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ეს შესაძლებლობას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას განსაკუთრებული პირობები საერთაშორისო ასპარეზზე გამორჩეული პერსონალისათვის და ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლეითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტი დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

**დანართი 1**

ფაკულტეტის საბჭო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების პრიორიტეტულობას და მათი დაფინანსების საკითხებს განსაზღვრის კრიტერიუმები

| კრიტერიუმი | ინდიკატორი |
|---|---|
| კვლევის ზეგავლენა | კულტურული გავლენა |
| | ეკონომიკური გავლენა |
| | გარემოსდაცვითი ზეგავლენა |
| | სოციალური ზეგავლენა |
| | ტექნოლოგიური განვითარება |
| | გავლენა ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე |
| | მართვის პოლიტიკაზე ზეგავლენა და ცვლილებები |
| | სამართლებრივი ზეგავლენა |
| კვლევის მდგრადობა | მოკლევადიანი პერსპექტივა (არაუმეტეს 1 წელი) |
| | საშუალოვადიანი პერსპექტივა (არაუმეტეს 4 წელი) |
| | გრძელვადიანი პერსპექტივა |
| კვლევის მნიშვნელობა | ლოკალურ დონეზე ხილვადი |
| | რეგიონულ დონეზე ხილვადი |
| | ეროვნულ დონეზე ხილვადი |
| | საერთაშორისო დონეზე ხილვადი |
| კვლევის პოტენციალი | მატერიალური რესურსის არსებობა |
| | ადამიანური რესურსის არსებობა,<br>მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერების ჩართულობა. |
| | ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა |

**დანართი 2**

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშვალდებულების სქემა

| **ანგარიშები** | **თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა სტრუქტურული ერთეული/რგოლი** |
|---|---|
| პროფესორ-მასწავლებლის წლიური ანგარიში | პერსონალი → დეპარტამენტი → ფაკულტეტი |
| კვლევითი ერთეულის თვითშეფასების ანგარიში | სამეცნიერო-კვლევითი ერთეული → ფაკულტეტი |
| კვლევითი ცენტრის ანგარიში | კვლევითი ცენტრი→აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |
| საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიში | პროგრამის ხელმძღვანელი → ფაკულტეტი |
| დეპარტამენტის წლიური ანგარიში | დეპარტამენტი → ფაკულტეტი |
| სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში | მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური →აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |
| საერთაშორისო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის ანგარიში | საერთაშორისო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური→აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური |

დანართი 3

კვლევითი საქმიანობის ხარისხის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები

| კრიტერიუმი | რაოდენობრივი ინდიკატორი | ხარისხობრივი ინდიკატორი |
|---|---|---|
| **1. სამეცნიერო სტატია**[1] | 1.1. სტატია საერთაშორისო ბაზებში[2] შემავალ რეფერირებად ჟურნალში | ჟურნალის იმფაქტ-ფაქტორი (JIF) |
| | | ციტირების ქულა (CiteScore) |
| | 1.2. პუბლიკაცია უცხოეთში რეფერირებულ ჟურნალში (გარდა 1.1-სა) | |
| | 1.3. პუბლიკაცია საქართველოში რეფერირებულ ჟურნალში; | |
| | 1.4. სხვა სამეცნიერო ჟურნალში; | |
| **2. საგრანტო პროექტები** | 1.1. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში წარდგენილი სამეცნიერო გრანტი | ქულობრივი ან სხვა შესაბამისი შეფასება |
| | 1.2. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი | |
| | 1.3. რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი სამეცნიერო გრანტი | ქულობრივი შეფასება |
| | 1.4. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი | |
| | 1.5. აწსუ-ს მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი | |
| **3. სასწავლო/შემოქმედებითი პროექტები** | 3.1. ნამუშევრების წარდგენა/გამოფენა, | |
| | 3.2. მოდელების შექმნა/ჩვენება; | |
| **4. სამეცნიერო კონფერენციები/ სიმპოზიუმები (მონაწილეობა და/ან ორგანიზება)** | 4.1. საერთაშორისო ბაზებში შემავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები | |
| | 4.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიპოზიუმის მასალები (გარდა 4.1) | |
| | 4.3. ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციის/სიპოზიუმის მასალები | |
| | 4.4. საუნვერსიტეტო ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის/სიპოზიუმის მასალები | |
| | 4.5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება | |
| | 4.6. ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის/სიმპოზიუმის ორგანიზება | |
| **5. გამოცემული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები** | 5.1. სახელმძღვანელო/მონოგრაფია (საერთაშორისო გამოცემა) | |
| | 5.2. სახელმძღვანელო/მონოგრაფია (ადგილობრივი გამოცემა) | |
| | 5.3. პროფესიული პუბლიკაცია | |
| | 5.4. ინოვაციური სასწავლო მასალები, რომლებიც სრულყოფს ტრადიციულ სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე | |

| | | |
|---|---|---|
| **6. საავტორო უფლება, პატენტი, პრიორიტეტი სასარგებლო მოდელზე** | 6.1. გამოგონება საერთაშორისო წარდგენით | |
| | 6.2. გამოგონება საქართველოში წარდგენით | |
| | 6.3. სასარგებლო მოდელის დაპატენტება | |
| | 6.4. სამრეწველო ნიმუშის დაპატენტება | |
| **7. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დანერგვა-კომერციალიზაცია** | 7.1. არააკადემიური ბიზნეს-პარტნიორის თანადაფინანსება საჯაროდ დაფინანსებად კვლევით პროექტებში | მიღებული ფინანსური შემოსავალი |
| | | მიღებული სხვა სარგებელი |
| | 7.2. სამეცნიერო კვლევის შედეგის კომერციული გამოყენება | მიღებული ფინანსური შემოსავალი |
| | | მიღებული სხვა სარგებელი |
| **8. საექსპერტო/საკონსულტაციო მომსახურება** | 8.1. ანალიტიკური და ლაბორატორიული კვლევის სერვისი და/ან კონსულტაცია | მიღებული ფინანსური შემოსავალი |
| | | მიღებული სხვა სარგებელი |
| | 8.2. საერთაშორისო ბაზებში შემავალ რეფერირებად ჟურნალში სტატიის რეცენზირება | ჟურნალის იმფაქტ-ფაქტორი (JIF) |
| | | ციტირების ქულა (CiteScore) |
| | 8.3. საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში სტატიის რეცენზირება (გარდა 8.2-სა) | |
| **9. სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია** | 9.1, საერთაშორისო სამეცნიერო კვლევაში ჩართული სტუდენტი (ბაკალავრი, მაგისტრანტი, დოქტორანტი) | ერთობლივი სტატია სტუდენტის მონაწილეობით (1,1-1,4 -ის შესაბამისი ინდიკატორებით) |
| | | კონფერენციაზე/სემინარზე მოხსენება სტუდენტის ავტორობით (4.1-4.4. ინდიკატორებით) |
| | 9.2. სადოქტორო დისერტაცია | სამეცნიერო სტატია (1,1-1,4 -ის შესაბამისი ინდიკატორებით) |

შენიშვნა:

[1] - ავტორის აფილიაციაში მითითებული უნდა იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმ შემთხვევაში, თუ აფილიაციაში მითითებულია სხვა ინსტიტუცია, პუბლიკაცია ვერ იქნება გამოყენებული ავტორის კვლევითი შედეგების შეფასებისათვის.

[2] - აღიარებული საერთაშორისო ბაზები (EBSCOhost; Cambridge University Press – Journals; Oxford Journals Collection; The New England Journal of Medicine; BioOne; Duke University Press; Royal Society Publishing – Journals; IMF eLibrary; SAGE; ScienceDirect; Scopus; Thomson Reuters, Master Journal List, Web of Science, Ulrich's Index, ERIH PLUS, Latindex Catalogue და სხვა).